„დამტკიცებულია"
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
ბრძანება: N01-03/07. 28. 06.2021 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

ხიჭაური
2021 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

„საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ (შემდგომში „წესი“) წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში (შემგომში „უნვერსიტეტი“) დასაქმებულ პირზე დაკისრებული საქმიანობის გაზომვის (შეფასების) ძირითად სახელმძღვანელო წესს.

მუხლი I. ზოგადი დებულებები:

1. შეფასების მიზანია:
   1.1. პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პროფესიულ ზრდა-განვითარების მიმართულებით, არსებულ საჭიროებებზე ხელშეწყობა.
   1.2. იმ მოვალეობათა სრულფასოვანი და ჯეროვანი შესრულება, რაც დაკისრებული აქვთ პერონალსა და უნივერსიტეტს ურთიერთმიმართებაში, ასევე შრომითი მოტივაციის და სამუშაოს ხარიხის გაუმჯობესება.
2. შეფასება განხორციელდება დიფერენცირებულად:
   2.1. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირთა საქმიანობა და მისი შეფასება.
   2.2. მოწვეული პერსონალის საქმიანობა და მისი შეფასება.
   2.3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობა და მისი შეფასება.
3. შეფასების დროს გამოყენებული იქნება 5 ქულიანი და სამდონიანი შეფასების სისტემა.

მუხლი II. პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასება

1. პროფესორ–მასწავლებელთა პედაგოგიური საქმიანობის შეფასების შემადგენელი კომპონენტი შეიძლება იყოს:
   1.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა;
   1.2. სასწავლო კურსების (სილაბუსების), სისტემატიური განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა;
   1.3. სასწავლო მასალების, რესურსების განახლება და გაუმჯობესება;
   1.4. შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალების მომზადება (დროული მომზადება და სტუდენტების ხელმისაწვდომობა);
   1.5. სტუდენტთა გამოკითხვის პროცესში ჩართულობა, რომელთა საჭიროება განისაზღვრება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;

1.6. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხზე ზრუნვა განმავითარებელი შეფასების ინტენსიური გამოყენებით (მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ სტუდენტთა სისტემატიური ინფორმირებულობა); ამ პუნქტით განსაზღვრული აქტივობის დადასტურების დროს მხედველობაში მიიღება სტუდენტთა მიერ სილაბუსის შეფასების შესაბამისი ქულა;

1.7. ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკულის, ლაბორატორიულის და სწავლა–სწავლების სხვა მეთოდების მონიტორინგი (განისაზღვრება ურთიერთდასწრების შედეგების მიხედვით);

1.8. სტუდენტთა კონსულტირება (განისაზღვრება სტუდენტთა მიერ სილაბუსის შეფასების შესაბამისი ქულის მიხედვით);

1.9. სხვა აკადემიური აქტივობა, მაგალითად: სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპონენტების მიხედვით, პედაგოგიური საქმიანობის შეფასება განხორციელდება ამ „წესის“ **დანართი 1**-ის მიხედვით.

მუხლი III. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შემადგენელი კომპონენტი შეიძლება იყოს:

1. **სამეცნიერო კონფერენციაში (ან სხვა მსგავს ღონისძიებაში) მონაწილეობა** - შეფასება განხორციელდება სამეცნიერო ღონისძიებების, დარგთან შესაბამისობისა და წაკითხული მოხსენების შესაბამისად;
2. **სამეცნიერო ნაშრომები/გამოგონება/პატენტი** - შეფასება განხორციელდება სამეცნიერო პუბლიკაციის გამოცემის გათვალისწინებით;
3. **გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღება, მაგრამ ვერ გამარჯვება (მაქსიმალური შეფასების 80% და მეტი)** - შეფასება განხორციელდება პირის სამეცნიერო საგრანტო პროექტში პოზიციისა და მის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესაბამისად. პროექტის ხელმძღვანელობა შეფასდეს „5“ ქულით, ხოლო პროექტში მონაწილე პირის შეფასება მოხდეს საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის მიერ, ხუთქულიანი შეფასებით. საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღების, მაგრამ ვერ გამარჯვების შემთხვევაში პროექტში მონაწილეობა შეფასდეს შესაფასებელი პირის პოზიციისა და საგრანტო პროექტის საერთო შეფასების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს „3“ ქულისა;
4. **სამეცნიერო პროექტებში სტუდენტების ჩართვა** - შეფასება განხორციელდება V მუხლის მე-2 პუნქტის 2.2. ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. **საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა** - შეფასება განხორციელდება „5“ ქულიანი სისტემით, რაც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საკუთრივ ნაშრომის შეფასებასთან (ნაშრომის „A“ შეფასება – 5 ქულა, „B“ შეფასება – 4 ქულა და ა.შ.);
6. **სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა (სამეცნიერო ხელმძღვანელობა)** - შეფასება განხორციელდეს სამეცნიერო კონფერენციაზე ჩართული სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელობის შემთხვევაში, სადაც დადასტურების წყაროდ, კონფერენციის პროგრამასთან ერთად, ჩაითვლება სტუდენტის მიერ წაკითხული საკონფერენციო მოხსენება[1];
7. **სხვა სამეცნიერო აქტივობები** (სამეცნიერო გამოცემის რედკოლეგიის წევრობა, მონოგრაფიის რედაქტორობა, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზირება და სხვა);
8. ამ მუხლით გათვალისწინებული კომპონენტების შესაბამისად აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება განხორციელდეს ამ წესის **დანართი №2-ის მიხ**ედვით.

მუხლი IV. პერსონალის სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასება

1. სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში მოიაზრება „ტბელის უნივერსიტეტის“ წესდებით, შინაგანაწესით, დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი ის აქტივობა, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი;
2. ამ მუხლით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს:
    1. საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა;
    2. სამსახურეობრივი ან/და კორპორაციული პასუხისმგებლობა;
    3. საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო საბჭოს სხდომებში მონაწილეობა/აქტიურობა;
    4. სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფებში/კომისიებში მონაწილეობა.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული კომპონენტების შესაბამისად, აკადემიური პერსონალის „სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის“ შეფასება განხორციელდეს ამ წესის **დანართი №3-ის მიხედვით.**

მუხლი V. პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასების პროცედურებია:

1. პერსონალის მიერ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასების ფორმის შევსება (**დანართი 5**);
2. პასუხისმგებელი პირის დადასტურების საფუძველზე, ქვემოთ მოცემულ სხვა სამეცნიერო აქტივობების შეფასება – ქულების მინიჭება:
    2.1. სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა:1 ღონისძიება = 1 ქულას;
    2.2. სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა: 1 სტუდენტი = 5 ქულას;

[1] კონფერენციის პროგრამაში ასახული და იმავდროულად მომზადებული საკონფერენციო თემა, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა იგი რაიმე მიზეზით ვერ წარადგინა კონფერენციაზე, მის ხელმძღვანელს ეთვლება შესრულებულად და ექვემდებარება შეფასებას.

2.3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა: 1 ნაშრომი = 1 ქულას;
2.4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა: 1 ნაშრომი = 2 ქულას;
2.5. სამეცნიერო სემინარების, საჯარო ლექციის ჩატარება: შიდასაუნივერსიტეტო 1 სემინარი = 2 ქულას; უნივერსიტეტის გარეთ, მიწვევით ჩატარებული 1 სემინარი = 3 ქულას;
2.6. სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა ჩართულობა: 1 სტუდენტი = 2 ქულას;
2.7. სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა: 1 რედკოლეგია = 2 ქულას;
2.8. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება: 1 რეცენზია = 1 ქულას;
2.9. სამეცნიერო სტატიის რეცენზირება: 1 რეცენზია = 1 ქულას;
2.10. მონოგრაფიის რეცენზირება (გამოქვეყნებული რეცენზია): 1 რეცენზია = 2 ქულას;
2.11. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობა (პროექტი რომელმაც ვერ გაიმარჯვა, მაგრამ მიიღო მაღალი შეფასება – გამსვლელ ქულასთან მიახლოებული): 1 გრანტი = 2 ქულას;
2.12. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობა (გამარჯვებული პროექტი): 1 გრანტი = 5 ქულას;
2.13. სხვა აქტივობა - 1 ქულა.

3. სამეცნიერო აქტივობებისა და მინიჭებული ქულების საფუძველზე დასაქმებულის საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგნაირად:

3.1. **„უმაღლესი“** შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები, გარდა სამეცნიერო გრანტისა) აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი მაღალი რეიტინგის მქონე (Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS. ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ბაზებში;

გ) არის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი;

დ) საანგარიშო წლის განმავლობაში ციტირების ინდექსით მიღებული აქვს 1 ქულა

ე) სხვა სამეცნიერო აქტივობებში (ამ მუხლის მე-2 ქვეპუნქტი) აქვს არანაკლებ 5 ქულა).

3.2. „**მაღალი**“ შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები) აკმაყოფილებს „უმაღლესი“ შეფასებისათვის გათვალისწინებულ „ა“ და „ბ“ მოთხოვნას, ან/და შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი მაღალი რეიტინგის მქონე (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი (თანხვედრაშია „უმაღლესი“ შეფასების „ა“ პუნქტთან).

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია მაღალი რეიტინგის საერთაშორისო ბაზებში (თანხვედრაშია „უმაღლესი“ შეფასების „ბ“ პუნქტთან).

გ) არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი/ დამხმარე პირი;

დ) სხვა სამეცნიერო აქტივობებში (ამ მუხლის მე-2 ქვეპუნქტი) აქვს არანაკლებ 5 ქულა.

3.3. „**კარგი**“ შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები) აკმაყოფილებს „მაღალი“ შეფასებისათვის გათვალისწინებულ პირველ მოთხოვნას – „ა“ პუნქტი, ან/და შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) სხვა სამეცნიერო აქტივობებში (ამ მუხლის მე-2 ქვეპუნქტი) აქვს არანაკლებ 5 ქულა.

3.4. „**დაბალი**“ შეფასება ენიჭება პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებს (წინამდებარე წესის V მუხლის მე-3 პუნქტის 3.3. ქვეპუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ მონაცემებს).

მუხლი VI. აკადემიური პერსონალის სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასება

1. სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობა გულისხმობს „ტბელის უნივერსიტეტის“ ნორმატიული აქტებით, ასევე პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი ის აქტივობა, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი.
2. სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს:
   2.1. საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა;
   2.2. სამსახურეობრივი ან/და კორპორაციული პასუხისმგებლობა;
   2.3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებში მონაწილეობა;
   2.4. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიებში მონაწილეობა;
   2.5. აკადემიური საბჭოს სხდომებში მონაწილეობა;
   2.6. სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფებში/კომისიებში მონაწილეობა.
3. სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასება განხორციელდება **დანართი 3**-ის შესაბამისად.

მუხლი VII. პერსონალის შეფასება

1. პერსონალის პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასებას ახდენს: პრორექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, დეკანი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი.

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების შედეგების ანალიზი წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო სამეცნიერო პერსონალის თვითშეფასების ანალიზი - აკადემიურ საბჭოს, რომლებიც გასცემს შესაბამის რეკომენდაციას და შუამდგომლობას პრობლემების აღმოფხვრის კუთხით.
3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასების ანალიზის შემადგენელი ნაწილია სტუდენტთა მიერ შესრულებული სასწავლო კურსის შეფასება, რომლის შემაჯამებელ ანგარიშს უშუალოდ ეცნობა აკადემიური პერსონალი.
4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზი, პერსონალური მონაცემების (სახელის, გვარის ან სხვა მსგავსი მინიშნების) დაკონკრეტების გარეშე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად გამოაქვს ფაკულტეტის საბჭოზე, სადაც ხდება შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მუხლი VIII ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების გარდა) შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
2. ადმინისტრაცის ხელმძღვანელს აფასებს პრორექტორი;
3. დამხმარე პერსონალის შეფასება - უშუალო ხელმძღვანელის მიერ შევსებული შეფასების ფორმის (**დანართი N4**) საფუძველზე.

მუხლი IX. სხვა პერსონალის სამუშაოს შეფასება

1. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის შეფასებას ახდენს პრორექტორი (დანართი N4) საფუძველზე.

მუხლი X. დამხმარე და სხვა პერსონალის შეფასების ინდიკატორები

1. პოზიციის შესაბამისი საქმიანობის ცოდნა;
2. შემოქმედებითი/კრეაატიული მიდგომა
3. დეტალებზე ორიენტირების უნარი
4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
5. დაკისრებული სამუშაოსადმი დამოუკიდებლად თავის გართმევის უნარი;
6. კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარი;
7. საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დაცვის უნარი;
8. რთული სიტუაციების მართვის უნარი;
9. პუნქტუალურ და დროის ეფექტური მართვის უნარი;
10. ცვლილებების სწრაფად აღქმის უნარი

მუხლი XI. შეფასების პრინციპები და მინიმალური მოთხოვნები

1. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, დაუშვებელია მისი გასაჯაროება და მესამე პირთან განხილვა. თითოეული თანამშრომლის შეფასების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ შემფასებლისათვის და ინფორმაციის დამუშავებაზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი/პირებისათვის. თანამშრომელს არ აქვს უფლება გაეცნოს ან მოითხოვოს სხვისი შეფასების შედეგი.
2. შეფასების პროცესის ეფექტიანად და დაუბრკოლებლად წარმართვისათვის აუცილებელია შეფასებაში მონაწილე ყველა პირის ინფორმირებულობა, თანამშრომლებთან აქტიური კომუნიკაცია.
3. ფაკულტეტის საბჭო, აკადემიური საბჭო, შემფასებელი პირები შეფასების შედეგების მიხედვით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებთან ერთად გეგმავს გასატარებელ ღონისძიებებს.
4. პერსონალის სამეცნიერო და სასწავლო აქტივობის მინიმალურ დონედ დაწესდეს 10 ქულის დაგროვება ერთი წლის მანძილზე.

მუხლი XII. შეფასების პროცესში მონაწილე პირთა მოვალეობები და ეთიკური ნორმები

1. შემფასებელი/თვითშემფასებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული შეფასების ყოველ კომპონენტზე;
2. შემფასებელი/თვითშემფასებელი ვალდებულია ობიექტურად განახორციელოს შეფასება თუ თვითშეფასება;
3. შემფასებელი ვალდებულია კონფიდენციალურობის დაცვით განახორციელოს შეფასება.

მუხლი XIII. პერსონალის შეფასების შედეგების შესაბამისად წახალისების მექანიზმები

1. პერსონალის შეფასების შედეგების შედეგად, გარდა „უნივერსიტეტის“ შინაგანაწესით არსებული წახალისების მექანიზმისა შესაძლებელია, საუკეთესო შედეგებით შეფასებული კანდიდატის მიმართ გამოყენებულ იქნას წახალისების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა: სერტიფიკატის გადაცემა, ფულადი წახალისება, ნაშრომის გამოქვეყნება, კონფერენციებში მონაწილეობისათვის ხელშეწყობა და სხვა

მუხლი XIV. პერსონალის შეფასების შედეგების გასაჩივრების პირობები

1. პერსონალის შედეგების შეფასების მიზნით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს.
2. შეფასების შედეგების შესახებ წარდგენილი საჩივრის განხილვის მიზნით, იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის მმართვის ორგანოების ხელმძღვანელები და აკადემიური საბჭოს წევრები – ინტერესტა კონფლიქტის გამორიცხვის მეთოდის დაცვით.
3. კომისიას აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება შეფასების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების, მასში ცვლილების შეტანის, ან მისი ძალაში დატოვების თაობაზე.

დანართი №1

პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასება						
შეფასების კომპონენტი	მაღალი	კარგი	დაბალი	შემფასებელი	შემფასებ-ლის ხელწერა	შენიშვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა				დეკანი		
				პროგრამის ხელმძღვანელი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სასწავლო კურსების სისტემატიური განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა				პროგრამის ხელმძღვანელი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სასწავლო მასალების, რესურსების განახლება და გაუმჯობესება				ბიბლიოთეკის ხელმღვანელი		
				პროგრამის ხელმძღვანელი		
შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალების მომზადება;				დეკანი		
				პროგრამის ხელმძღვანელი		
სტუდენტთა გამოკითხვებში ჩართულობა, რომელთა საჭიროება განისაზღვრება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ				დეკანი		
				პროგრამის ხელმძღვანელი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხზე ზრუნვა განმავითარებელი შეფასების ინტენსიური გამოყენებით				დეკანი		
				პროგრამის ხელმძღვანელი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკულის და სწავლა–სწავლების სხვა მეთოდების მონიტორინგი				დეკანი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სტუდენტთა კონსულტირება				დეკანი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სხვა აკადემიური აქტივობა, მაგალითად სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა				დეკანი		
				პროგრამის ხელმძღვანელი		

დანართი 2

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება						
შეფასების კომპონენტი	მაღალი	კარგი	დაბალი	შემფასებელი	შემფასებ-ლის ხელწერა	შენიშვნა
სამეცნიერო კონფერენციაში (ან სხვა მსგავს ღონისძიებაში) მონაწილეობა				დეკანი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სამეცნიერო ნაშრომები /გამოგონება/პატენტი				დეკანი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა				გრანტის ხელმძღვანელი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღება, მაგრამ ვერ გამარჯვება (მაქსიმალური შეფასების 80% და მეტი)				გრანტის ხელმძღვანელი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სამეცნიერო პროექტებში სტუდენტების ჩართვა				დეკანი		
				პროგრამის ხელმძღვანელი		
საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა				დეკანი		
				პროგრამის ხელმძღვანელი		
სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა				დეკანი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა (სამეცნიერო ხელმძღვანელობა)				პროგრამის ხელმძღვანელი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		
სხვა სამეცნიერო აქტივობები (სამეცნიერო გამოცემის რედკოლეგიის წევრობა, მონოგრაფიის რედაქტორობა, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზირება და სხვა)				დეკანი		
				ხარისხის უზრ-ის სამსახ-ის ხელ-ლი		

დანართი 3

პერსონალის სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასება						
შეფასების კომპონენტი	მაღალი	კარგი	დაბალი	შემფასებელი	შემფასებლის ხელწერა	შენიშვნა
საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა				დეკანი		
				პრორექტორი		
				ადმინისტრაციის ხელმძღვანელი		
სამსახურეობრივი ან/და კორპორაციული პასუხისმგებლობა				დეკანი		
				პრორექტორი		
				ადმინისტრაციის ხელმძღვანელი		
საფაკულტეტო და საუნივერ-სიტეტო საბჭოს სხდომებში მონაწილეობა/აქტიურობა				დეკანი		
				პრორექტორი		
				ადმინისტრაციის ხელმძღვანელი		
სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფებში ან/და კომისიებში მონაწილეობა.				დეკანი		
				პრორექტორი		
				ადმინისტრაციის ხელმძღვანელი		

დანართი 4

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების ფორმა

შემფასებელი, შეფასების დრო	
სტრუქტურული ერთეული:	
თანამშრომლის სახელი, გვარი, პოზიცია	

№	საქმიანობის შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონე[2] და კომენტარი[3]		
		მაღალი	საშუალო	დაბალი
1	პოზიციის შესაბამისი საქმიანობის ცოდნა			
2	შემოქმედებითი/კრეატიული მიდგომა			
3	დეტალებზე ორიენტირების უნარი			
4	შესრულებული სამუშაოს ხარისხი			
5	დაკისრებული სამუშაოსადმი დამოუკიდებლად თავის გართმევის უნარი			
6	კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარი			
7	საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი			
8	რთული სიტუაციების მართვის უნარი			
9	პუნქტუალურობა და დროის ეფექტურად მართვის უნარი			
10	ცვლილებების სწრაფად აღქმის უნარი			

კომენტარი:

_____

_____

_____

_____

_____

[2] შეფასების სამი დონიდან (მაღალი, საშუალო, დაბალი) ყოველი ინდიკატორის გასწვრივ დააპლიუსეთ.

[3] კომენტარში უნდა აისახოს ზოგადი პროფესიულ დახასიათება და კონკრეტული საჭიროებები, რის განვითარება სჭირდება თანამშრომელს.

დანართი 5

პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასების ფორმა

გვარი, სახელი	
პოზიცია (აკადემიური თანამდებობა ან მოწვეული)	
ფაკულტეტი	
თვითშეფასების დრო	

პედაგოგიური საქმიანობის შეფასება (ბოლო ერთი სასწ./წლის მანძილზე)

შეფასების კომპონენტი	**შეფასების ქულა**				
	1	**2**	**3**	**4**	**5**
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა					
სასწავლო კურსების, სილაბუსების სისტემატიური განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა					
სასწავლო მასალების, რესურსების განახლება და გაუმჯობესება					
შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალების მომზადება;					
რამდენად გამჭვირვალეა თქვენი სტუდენტებისათის ცოდნის შეფასების სისტემა, შეფასების კრიტერიუმები					
შეაფასეთ ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკულის და სწავლა–სწავლების სხვა მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში					
შეაფასეთ თქვენს მიერ სტუდენტთა კონსულტირება					
შეაფასეთ თქვენი სხვა აკადემიური აქტივობა, მაგალითად სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა					

საბაკალავრო ან/და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა **(ბოლო ერთი სასწ./წლის მანძილზე)**				
№	სტუდენტის სახელი გვარი, და სპეციალობა	სწავლების საფეხური	თემის სათაური	პლაგიატის კოეფიციენტი პირველი შემოწმებისას, მეორე შემოწმებისას

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში ჩართულობა (სამენიერო ხელმძღვანელობა) (ბოლო ერთი სასწ./წლის მონაცემების მიხედვით)				
№	კონფერენციის დასახელება (მიუთითეთ ადგილობრივია თუ საერთაშირისო)	სტუდენტის სახელი, გვარი. სწავლების საფეხური	სტუდენტის სპეციალობა	სტუდენტის მოხსენების სათაური

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება
(ბოლო ერთი სასწ./წლის მანძილზე)

№	სამეცნიერო კონფერენციის დასახელება (მიუთითეთ ადგილობრივია, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო)	ჩატარების ადგილი, თარიღი, ორგანიზაცია	მოხსენების თემა	სად დაიბეჭდა (კრებული, ჟურნალი და ა.შ.)

№	სამეცნიერო პუბლიკაციის, მონოგრაფიის დასახელება	გამომცემლობა, გვერდების რაოდენობა, თანაავტორი (არსებობის შემთხვევაში	სად დაიბეჭდა (კრებული, ჟურნალი და ა.შ.)	ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა

№	სამეცნიერო ან სხვა სახის პროექტის დასახელება და განხორციელების თარიღები	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პოზიცია პროექტში	მიღებული ქულა (ასევე, მიუთითეთ გაიმარჯვა თუ ვერა პროექტმა)

ციტირების ინდექსი

წელი	სახელი, გვარი	Google scholar		Scopus		Web of science	
		ციტირების ინდექსი	H-ინდექსი	ციტირების ინდექსი	H-ინდექსი	ციტირების ინდექსი	H-ინდექსი

შენიშვნა[4] .

_____

_____

[4] დაწერეთ თქვენი კომენტარი თვითშეფასებასთან დაკავშირებით, ან მიუთითეთ ის აქტივობა რომლის ასახვაც ზემოთ ვერ მოახერხეთ.